

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ქეთევან ქობესაშვილი

ეკონომიკური გლობალიზაცია და დემოკრატია

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2025

ანოტაცია

ამ ნაშრომში განიხილება ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენა დემოკრატიულ პროცესებსა და ინსტიტუტებზე. ანალიზს ვაკეთებ იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე. ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია იმ პრობლემებზე, რომლებიც ეკონომიკური გლობალიზაცია გამოიწვევს დემოკრატიის შემდგომ განვითარებაში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები და არასრულფასოვანი პოლიტიკური პროცესებია. გლობალიზაციის პროცესმა შესაძლოა გაამყაროს დემოკრატიული ინსტიტუტები, რადგან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ამახვილებს ყურადღებას მთავრობის პასუხისმგებლობაზე, თუმცა, არსებობს ამ პროცესთან დაკავშირებული რისკებიც. ამასთან, აღწერილია გლობალიზაციის დადებითი ეფექტები, როგორიცაა ... ასევე, განიხილება ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები, რომლებიც ხელს უწყობენ სამუშაო ადგილების შექმნას და შრომითი უფლებების დაცვას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, დემოკრატია, ვაჭრობა, ბაზარი, ტრანსნაციონალური კორპორაციები.

სარჩევი:

შესავალი	4
თავი I: ეკონომიკური გლობალიზაციის არსი.....	9
თავი II: დემოკრატია და სავაჭრო ღიაობა.....	14
თავი III: დემოკრატია და ფინანსები.....	18
თავი IV. ეკონომიკური გლობალიზაცია და საქართველო.....	22
დასკვნა.....	30
გამოყენებული ლიტერატურა.....	33

შესავალი:

გლობალიზაცია არის პროცესი როდესაც იდეები, ცოდნა, პროდუქტი, და ინფორმაცია ვრცელდება მთელი მსოფლიოს გარშემო. იგი მოიცავს პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას, რელიგიას და სხვა სფეროებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის(WHO) განმარტებით გლობალიზაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ხალხების და ქვეყნების გაზრდილი ურთიერთკავშირი, რომელიც როგორც წესი მოიცავს ორ ელემენტს: 1. საერთაშორისო საზღვრების გახსნას საქონლის, სერვისების, ფინანსების, ხალხისა და იდეების მზარდი სწრაფი ნაკადისთვის და 2. ცვლილებები ინსტიტუტებსა დაპოლიტიკაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რომლებიც ხელს უწყობს ასეთ ნაკადებს. დღევანდელი გლობალიზაცია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ იგი ახალი მოვლენაა. გლობალიზაცია სათავეს კაცობრიობის უძველესი დროიდან იღებს. მაგალითად, რომის იმპერია ძ.წ 600 წელს ავრცელებდა თავის ეკონომიკურ და მმართველ სისტემას ძველი სამყაროს უმნიშვნელოვანეს ნაწილებში. ასევე პირველ მსოფლიო ომამდე ევროპის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელეს საზღვარგარეთ, რასაც გლობალიზაციის ოქროს ხანას უწოდებენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ ცდილობდა შეექმნათ გლობალური ეკონომიკური სისტემა. ამისთვის კი შეიქმნა სხვადასხვა ინსტიტუტები, როგორებიც იყო მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

დასაწყისში გლობალიზაცია მხოლოდ ეკონომიკას მოიცავდა. სწორედ ამიტომ, დღეს ეკონომიკა გლობალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჩვენს დროში, საქონლის გადაზიდვა სამივე სატრანსპორტო საშუალებით შეიძლება: სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საზღვაო გადაზიდვების ღირებულება დღესდღეისობით განახევრებულია, ვიდრე ეს იყო 1930 წელს. ესეც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ვაჭრობის და შესაბამისად ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარებას. ეკონომიკური გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილია ტრანსნაციონალური კორპორაციები. ისინი მუდმივად ახორციელებენ კაპიტალის, საქონლის, მომსახურების და ტექნოლოგიების გადაადგილებას, რაც მათი გავლენას

განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკაში. ტრანსნაციონალური კორპორაციების არსებობას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. იგი განვითარებად ქვეყნებს ეხმარება ეკონომიკის განვითარებაში. ქვეყნებში დიდი რაოდენობით კაპიტალის შედინება განაპირობებს სტაბილურ ეკონომიკას. თუმცა შეიძლება დიდ გავლენას ახდენდნენ ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე, ზოგჯერ იძლევა შესაძლებლობას, რომ ხელი შეუწყონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მხოლოდ მათი ინტერესების შესაბამისად არის შექმნილი. რაც შეეხება ვაჭრობას, ვაჭრობა და გლობალიზაცია მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. გლობალიზაციის მეშვეობით შემცირდა ვაჭრობის ბარიერები, დღესდღეობით უფრო მარტივი და იაფია ქვეყნებს შორის ვაჭრობა. საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობით, ქვეყნები აწარმოებენ უფრო დიდ ეკონომიკურ ზრდას, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ზრდიან შემოსავალს. ფართო ბაზარზე წვდომა ბიზნესებს ეხმარება თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში.

საქართველოც ჩართულია გლობალიზაციის პროცესში. მისი სტრატეგიული მდებარეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური გლობალიზაციაში. იგი წარმოადგენს ხიდს ევროპასა და აზიას შორის. სწორედ საქართველოს გავლით გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის სანტექნიკური მილსადენი და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო გზა. საქართველო აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაზრდელად და ვაჭრობის გაფართოებაზე სხვადასხვა სავაჭრო შეთანხმებების და პარტნიორობების საშუალებით.

კვლევის მიზანი: მიზნად ვისახავ იმ გამოწვევების გაანალიზებას რომელიც თან სდევს დემოკრატიულ ქვეყნებში ეკონომიკური გლობალიზაციის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

ამოცანები:

1. გლობალიზაციის შესახებ მეთოდოლოგიური და თეორიული საკითხების დამუშავება;
2. ეკონომიკური გლობალიზაციის განხილვა დემოკრატიზაციის კონტექსტში;
3. დავადგინოთ როგორ გავლენას ახდენს ეკონომიკური გლობალიზაცია საქართველოს პოლიტიკაზე.

საკვლევი კითხვა: კვლევის მიზნიდან გამომდინარე ჩემი საკვლევი კითხვა

წადმოადგენს: 1. რა არის ეკონომიკური გლობალიზაცია და როგორ მოქმედებს იგი ქვეყნის შიდა ეკონომიკაზე და პოლიტიკურ სტრუქტურაზე? 2. რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია დემოკრატიის განმტკიცებაზე და, პირიქით, რა პრობლემები შეიძლება შეიქმნას ქვეყნებში, რომლებიც არ ახდენენ სრულ ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში? 3. როგორ უქმნის გლობალიზაცია გამოწვევებს ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და დემოკრატიული პროცესების განვითარებას?

ჰიპოთეზა: რაც უფრო სუსტია ქვეყნის განვითარების დონე მით უფრო დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკური გლობალიზაცია მასზე, რაც ზრდის ეროვნული პოლიტიკის დასუსტების რისკს.

მეთოდი: გამოვიყენე არაშემთხვევითი შერჩევის მეთოდი. შერჩევაში მონაწილეობენ რამდენიმე ტრანსნაციონალური კომპანია. ასევე მეცნიერების ნაშრომები, კონფერენციები და ა.შ.

ლიტერატურის მიმოხილვა:

ეკონომიკური გლობალიზაცია მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან საკმაოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. მას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა. ეკონომიკური გლობალიზაციის შესახებ შექმნილია საკმაოდ ბევრი ნაშრომი როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურაში. ჩემს კვლევაში მინდა განვიხილო რამდენიმე სტატია, ნაშრომი და კვლევა.

ეკონომიკურ გლობალიზაციას დემოკრატიულ კონტექსტში განიხილავენ მეცნიერები რაფაელ რაუვენი და ქუან ლი ნაშრომში: „ ეკონომიკური გლობალიზაცია და დემოკრატია: ემპირიული ანალიზი“. ავტორები განიხილავენ ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენას დემოკრატიაზე. მათ ნაშრომში მოყავთ სამი სიტუაცია: 1. ეკონომიკური გლობალიზაცია დადებითად მოქმედებს დემოკრატიაზე; 2. ეკონომიკური გლობალიზაცია უარყოფითად მოქმედებს დემოკრატიაზე; და 3. ეკონომიკური გლობალიზაცია არ მოქმედებს გლობალიზაციაზე. მათ ყოველი შემთხვევის შესახებ მოყავთ არგუმენტები და მაგალითები. ამ ნაშრომში ავტორები არ

აფიქსირებენ საკუთარ აზრს, ისინი მხოლოდ გვიზიარებენ სხვადასხვა შეხედულებას ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირებით.

ეკონომიკური გლობალიზაციის კომპონენტებს: ბაზარს, ფინანსებს, ვაჭრობას ეხება მეცნიერი ჯოფრი გერეტი ნაშრომში: „გლობალიზაციის გამომწვევი მიზეზები“. იგი საუბრობს საერთაშორისო ფინანსური ნაკადების რეგულირების სირთულეზე. ჯოფრი გერეტი გლობალიზაციას წარმოადგენს პროცესად, რომლის რეგულირება და კონტოლი სახელმწიფოსთვისაც კი რთულია.

საერთაშორისო ვაჭრობასა და დემოკრატიას შორის კავშირს იკვლევენ მეცნიერები ჯ. ერნესტო ლოპეზი და კრისტოფერ მ. მეისნერი ნაშრომში „ვაჭრობის და დემოკრატიის გლობალიზაცია“. ამ კვლევაში ავტორები ცდილობენ შეაფასონ ვაჭრობის ღიაობის მიზეზობრივი გავლენა დემოკრატიის დონეზე. ისინი ამტკიცებენ ვარაუდს, რომ ავტონომიურმა გადასვლამ ღიაობის საშუალო დონეზე შეიძლება გაზარდოს ქვეყნის დემოკრატიის საზომი.

დიპაკ ნაიარი ნაშრომში „დემოკრატია და გლობალიზაცია“ განიხილავს გლობალიზაციის სხვადასხვა მიმართულებების მოქმედებას დემოკრატიაზე. როგორიცაა მაგალითად „გლობალური ეკონომიკა და ეროვნული პოლიტიკა“, ბაზრები და დემოკრატია“ და ა.შ. ავტორი საუბრობს არათანაბარი შესაძლებლობების განაწილების შესახებ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში. მდიდრები დომინირებენ საბაზრო ეკონომიკაში მსყიდველობითი უნარის თვალსაზრისით, ხოლო ღარიბებს აქვთ ძლიერი ხმა პოლიტიკურ დემოკრატიაში. ბაზარი პასუხოს მდიდარი ადამიანების მოთხოვნებს და არა ღარიბი ხალხის საჭიროებებს. ეს ურთიერთობა ბაზრებსა და დემოკრატიას შორის უფრო რთული ხდება, როდესაც გლობალური ეკონომიკა უპირისპირდება ეროვნულ პოლიტიკას.

კეტლინ ს. შვარცმანიც ნაშრომში „დემოკრატია და გლობალიზაცია“ საუბრობს იმის შესახებ თუ რა მოჰყვება გლობალიზაციის განვითარებას. კონკრეტულად საუბრობს ინდუსტრიალიზაციის შესახებ. დემოკრატიაზაცია ერთ ქვეყანაში იქცევა ხელსაყრელ კლიმატად და, შესაბამისად, დემოკრატიაზაციის ნაწილობრივ მიზეზად სხვა ქვეყანაში.

მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში წარმატებამ შეიძლება წახალისოს სხვა ქვეყნები, რომ დემოკრატიზაცია მათი პრობლემების გადაწყვეტად დაინახონ.

როზეტა ასათიანის ნაშრომში „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“ ავტორი გამოყოფს გლობალიზაციის ნეგატიურ შედეგებს. იგი საფრთხეს უქმნის მცირე ქვეყნების არსებობას. ბაზრის გახსნილობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ავტორი ხსნის რას აკეთებს საქართველო არასწორად გლობალიზაციასთან მიმართებაში და სამომავლოდ როგორ უნდა მოვიქცეთ.

ელგუჯა მექვაბიშვილიც წერს საქართველოში გლობალიზაციის პროცესის შესახებ - „გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა“. იგი აღწერს საქართველოს გლობალიზაციის პროცესში ჩართვის წინა პირობას და მიზეზებს. ავტორი ასევე აღნიშნავს იმ საშინაო ამოცანებს, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს.

თეორიული ჩარჩო:

საბაკავრო ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენე ჯეფრი გერეტის ნაშრომი „გლობალიზაციის გამომწვევი მიზეზები“. იგი მოიცავს გლობალიზაციის იმ ძირითად მიმართულებებს, რომელზეც ჩემი ნაშრომია აგებული. ავტორი დეტალურად საუბრობს ვაჭრობის და მულტინაციონალური პოდუქტების შესახებ. ასევე აღწერს უცხოურ ინვესტიციებს და მსოფლიო ფინანსებს. ამ კომპონენტების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ განვიხილოთ გლობალიზაცია.

თავი I. ეკონომიკური გლობალიზაციის არსი

გლობალიზაციის წარმოშობა ისტორიულად საკმაოდ რთული და კომპლექსური მოვლენაა. იგი კაცობრიობის უძველესი დროიდან იღებს სათავეს. გლობალიზაციის პირველი ეტაპი მიმდინარეობდა ძველი დროიდან მეთხუთმეტე საუკუნემდე. იგი უკავშირდება პირველი სავაჭრო გზების განვითარებას. მაგალითად, როგორიცაა უმბრის მარშრუტი, რომელიც გრძელდებოდა ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთს და ჩინეთამდე. ამ დროს დაიწყო საქონლის გაცვლა ქვეყნებს შორის, რაც გარკვეული დონით ზრდიდა კულტურული და ეკონომიკური კონტაქტების სიძლიერეს. მეორე ეტაპი არის მეთხუთმეტე საუკუნუდან მეცხტმეტე საუკუნემდე. კოლონიურმა და ინდუსტრიულმა რევოლუციამ საგრძნობლად შეუწყო ხელი გლობალიზაციის განვითარებას. ევროპულმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით ინგლისმა, ესპანეთმა და პორტუგალიამ, დაიწყეს ვაჭრობა ახალი კოლონიების საშუალებით. ევროპელები აკონტროლებენ ახალ ტერიტორიებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა მიიღონ ბუნებრივი რესურსები და შექმნან ახალი სავაჭრო ქსელები. გლობალიზაციის განვითარებას ასევე ხელი შეუწყო ინდუსტრიულმა რევოლუციამ. ტექნოლოგიური და სამრეწველო ცვლილებების შედეგად გაიზარდა წარმოების მაშტაბები, რამაც უფრო გააქტიურა სავაჭრო ურთიერთობები. მესამე ეტაპი მიმდინარეობდა მეოცე საუკუნეში და ემთხვევა ტექნოლოგიურ რევოლუციას. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დაიწყო თანამედროვე გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი. ამ დროს წამოიწყო დიდი რაოდენობით რეგიონული და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციების და შეთახმებების ჩამოყალიბება, როგორიცაა: გაერო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომლებიც ხელს უწყობდნენ საერთაშორისო თანამშრომლობასა და ვაჭრობას; ევროკავშირის და სხვა რეგიონული ბლოკების ჩამოყალიბება. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი გლობალიზაციის მეოთხე ეტაპია. იგი 1980 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. 1990იანი წლების შემდეგ გლობალიზაცია კიდევ უფრო ინტენსიურად განვითარდა. ამის მიზეზი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება. გავნითარდა ინტერნეტი, კომპიუტერები და

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რის შედეგადაც გამარტივდა ინფორმაციის გაცვლა და კავშირი მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილთან. ასევე ამ პერიოდში გატარდა ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები. ოცდამეერთე საუკუნეში კიდევ უფრო გაძლიერდა გლობალიზაციის პროცესი, რაც განაპირობა მზარდმა ინტერნეტ ვაჭრობამ და თანმედროვე ტექნოლოგიებმა, როგორცაა ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტა. ასევე ხელოვნურმა ინტელექტმა, გლობალური ტრანსპორტის განვითარებამ საგრძნობლად შეცვალა ვაჭრობის, კომუნიკაციისა და ადამიანთა გადაადგილების მეთოდები.

მეოცე საუკუნეში გლობალიზაციის პროცესის წარმოქმნა და განვითარება გამოწვია რიგმა ფაქტორებმა. გაჩნდა პოლიტიკური პროცესების მართვის პრობლემები. მსოფლიო წესრიგის აუცილებლობა დიდი ხნის განმავლობაში იდგა მეცნიერების დღის წესრიგში. იმ პერიოდში არსებობდა საკამოდ რთული პრობლემები, როგორც იყო ეკოლოგიური კრიზისი, მოსახლეობის დიდი რაოდენობა, ბირთვული კატასტროფის საფრთხე, ტერორიზმი და სხვა. ამ პრობლემების მართვად გადაჭრა საკამოდ რთული იყო და არც ერთ ქვეყანას შეეძლო. მეოცე საუკუნეში გამოყენებითმა მეცნიერებამ დიდი ნაბიჯები გადადგა. ტრანსპორტის განვითარების წყალობით მსოფლიოში უკვე მილიონობით ადამიანი გადაადგილდებოდა და საქმიანობაც უფრო ეფექტური გახდა. იმის მუხედვად, რომ ადამიანებმა თავი იგრძნეს ერთიანად, მთლიანად, უფრო გამწვავდა დაპირისპირებები.

მეოცე საუკუნეში კრიზისი ნორმალურ მოვლენად იქცა - “კრიზისი ნორმის ფარგლებში”. ბევრი მეცნიერი მიიჩნევდა ამ კრიზისს ქრონიკულად. სწორედ ამ საკამოდ რთულ მომენტში მეცნიერები და პოლიტიკოსები დაინტერესდნენ გლობალიზაციით.

გლობალიზაციის გავრცელებას ასევე ხელი შეუწყო დემოკრატიულმა მოძრაობებმა. მრავალმა კოლონიამ მიიღო დამოუკიდებლობა მეოცე საუკუნის შუა და ბოლო პერიოდში, რამაც გამოიწვია ახალი, დამოუკიდებელი ეკონომიკების ფორმირება. ამ პროცესის შედეგად, ბევრმა ქვეყანამ დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და გლობალური ეკონომიკური სისტემაში მონაწილეობა.

გლობალიზაციასთან დაკავშირებით ბევრი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, რადგან ის ღრმად არის დაკავშირებული როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებთან. აქედან

გამომდინარე, ადამიანები განსხვავებულად აფასებენ მას. პირველი მოსაზრების თანახმად გლობალიზაცია დადებით მოვლენად ითვლება. გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარე ეკონომიკური ზრდაა. ქვეყნები, რომლებიც გახდნენ გლობალური სავაჭრო სისტემის ნაწილები, იღებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, უფრო მარტივად განახორციელებენ სავაჭრო მოლაპარაკებებს და შედეგად შეიძლება მოიპოვონ უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა. ასევე მცირე და განვითარებად ქვეყნებსაც კი შეუძლია ისარგებლოს უფრო ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების, ცოდნისა და ფინანსური რესურსებისგან. ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსის და მწერლის, თომას ფრიდმანის, მიხედვით გლობალიზაცია მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას უწყობს ხელს და ამ პროცესში მთელი მსოფლიოს ეკონომიკა იწყებს ურთიერთდაკავშირებას. ის მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია არ არის მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობა, არამედ მასზე გავლენა აქვს ტექნოლოგიურ პროგრესს და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. გლობალიზაცია ხელს უწყობს კულტურული გაცვლისა და მრავალფეროვნების გაზრდას. ადამიანებს უფრო ადვილად შეუძლიათ ერთმანეთთან დაკავშირება, ვაჭრობა, სწავლა და საზღვარგარეთ მუშაობა. მეორე მოსაზრება კი გლობალიზაციას უარყოფითად აფასებს. გლობალიზაცია ხშირად აძლიერებს მდიდარ ქვეყნებსა და კომპანიებს, მაშინ როცა სუსტ, განვითარებად ქვეყნებს სირთულეები აქვთ ცალკეულ ბაზრებზე კონკურენციისთვის. ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსი ხშირად სერიოზულად ძლიერდება, რადგან იაფი სამუშაო ძალა (მაგალითად, აზია და აფრიკა) დიდ რაოდენობით შრომაშია ჩართული, რაც ანაზღაურებას ამცირებს. გლობალიზაციის პროცესში მცირე, ტრადიციული კულტურები შეიძლება შეიზღუდოს ან გახდნენ არაპოპულარული, რადგან უფრო მსხვილი და გავლენიანი კულტურული იდეები (მაგალითად, დასავლური კულტურა) ახდენენ თავის გავლენას. გლობალიზაცია ზოგჯერ წარმოშობს მტკივნეულ პოლიტიკურ საკითხებს, როგორიცაა კორპორაციული გავლენა და ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვა. გლობალური კომპანიები ხშირად მეტ გავლენას იძენენ და ეს გავლენა შესაძლოა არ იყოს სასურველი, თუ ის მორალურ-პოლიტიკური საზღვრების გადალახვას გულისხმობს. ჯოზეფ სტიგლიცის აზრით, გლობალიზაცია არ არის ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური. იგი

ამტკიცებს, რომ განვითარებული ქვეყნები გლობალიზაციის პროცესში უფრო დიდი სარგებელს იღებენ, მაშინ როცა ღარიბი ქვეყნები ხშირად რჩებიან გარეთ და ხდებიან მდიდარი ქვეყნების ნდობის მსხვერპლნი. გლობალიზაცია, მისი თქმით, ემსახურება იმ ქვეყნების ინტერესებს, რომლებსაც უკვე აქვთ ეკონომიკური ძლიერება.

გლობალიზაციის ნეგატიურ შედეგებზე საუბრობს ასევე რ. ასათიანი. მისი აზრით, გლობალიზაცია განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს ართმევს ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობებს. გლობალიზაციაში ჩართული ქვეყნები დამოკიდებულნი არიან აშშ-ზე, რადგან მას თანაბარი სიძლიერის კონკურენტი არ ყავს.

დღესდღეისობით გამოიყოფა გლობალიზაციის სხვადასხვა სახე: ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური, რელიგიური, სამხედრო და სამართლებრივი.

ეკონომიკური გლობალიზაცია გულისხმობს ეკონომიკური ურთიერთობების გამარტივებასა და ინტეგრაციას, რაც ხდება სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკების ერთმანეთთან დაკავშირების პროცესში. ეს პროცესი მოიცავს საერთაშორისო ვაჭრობის, ფინანსების, კაპიტალის ნაკადების, სამუშაო ძალისმოზილობისა და ტექნოლოგიების გავრცელების ინტენსიფიკაციას. ეკონომიკურ გლობალიზაციასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებით მხარეებს შორის არის ეკონომიკური ზრდა.

გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროცესს. ის ზრდის საერთაშორისო ვაჭრობას, ზრდის კონკურენციას და საშუალებას აძლევს ქვეყნებს მიიღონ რესურსები უფრო ეფექტურად. მულტინაციონალური კომპანიები და ინვესტიციები წარმოების გაფართოებას, ახალ ტექნოლოგიებსა და საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას უწყობს ხელს. გლობალიზაცია ეხმარება განვითარებად ქვეყნებს, შექმნან ახალ სამუშაო ადგილებს. მულტინაციონალური კომპანიები ინვესტირებენ განვითარებად ქვეყნებში, რაც ზრდის ადგილობრივი დასაქმების მაჩვენებლებს. რაც შეეხება უარყოფით მხარეს - გლობალიზაცია ხშირად ზრდის ეკონომიკურ უთანასწორობას, როგორც ქვეყნებს შორის, ისე შიგნით. განვითარებულ ქვეყნებს აქვთ უკეთესი შესაძლებლობები გლობალური ბაზრის გავლენით სარგებლობისთვის, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებს არ შეუძლიათ სრულად ისარგებლონ ამ პროცესის დადებითი ეფექტებით. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ გლობალიზაცია ზრდის სიღარიბეს და სოციალურ უთანასწორობას განვითარებად ქვეყნებში.

გლობალიზაცია ასევე უკავშირდება კრიზისებს. რადგან ბაზრები ერთმანეთს უკავშირდება, კრიზისი ერთ ქვეყანაში შესაძლოა სწრაფად გავრცელდეს სხვა ქვეყნებში. მაგალითად, 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რომელიც დაიწყო აშშ-ში, სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რადგან ბევრი ქვეყანა იყო ინტეგრირებული საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში.

ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი ასპექტებია: ვაჭრობა და ბაზრები, მულტინაციონალური კომპანიები, კაპიტალის თავისუფალი ნაკადები, ფინანსური და საინვესტიციო ბირჟები, ტექნოლოგიები და ინოვაციები.

თავი II: დემოკრატია და ვაჭრობა და ბაზრები

დემოკრატიზაცია და სავაჭრო ღიაობა ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესებია, რომლებიც სხვადასხვა თვალსაზრისით ერთობლივად ახდენენ გავლენას. კვლევები აჩვენებს, რომ საერთაშორისო სავაჭრო ღიაობა (გარდა იმისა, რომ ის ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას) ხშირად ასოცირდება დემოკრატიული მმართველობის განვითარებასთან, თუმცა ეს კავშირი ყოველთვის მარტივად არ არის აღსაქმელი. სავაჭრო ღიაობა (ასევე ცნობილი როგორც თავისუფალი ვაჭრობა) გულისხმობს იმ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს საქონლისა და სერვისების თავისუფალ მიმოქცევას საერთაშორისო ბაზრებზე. მისი მთავარი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ხელშეწყობა ვაჭრობისთვის, უფრო ხელმისაწვდომი ბაზრების გახსნით. თვითონ დემოკრატია, როგორც პოლიტიკური სისტემა, გულისხმობს თავისუფალ არჩევნებს, პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებებს, კანონის უზენაესობას და მთავრობის პასუხისმგებლობას საკუთარი ხალხის წინაშე. გლობალიზაცია ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას, რადგან იგი იწვევს დაბალი ტარიფებსა და ვაჭრობის შეზღუდვების გაუქმებას, რაც საშუალებას იძლევა რომ ქვეყნებმა მარტივად აწარმოონ საქონელი და გაანაწილონ პროდუქცია. გლობალიზაციის შედეგად ბევრი ქვეყანა იღებს უფრო დიდ შესაძლებლობებს და რესურსებს სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებისგან.

ზოგი მეცნიერი ატყიცებს, რომ სავაჭრო ღიაობა მიზნობრივად არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასთან. ის რომ ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობს დემოკრატიის პროცესს წამოაყენა ს. მ. ლიფსეტმა. მყარ დემოკრატიას სჭირდება მყარი საშუალო კლასი, ეკონომიკის განვითარებას კი თან ახლავს სწორედ საშუალო კლასის გაჩენა.

ჯასტინ იფუ ლინ და ჯეფრი ბ ნუჯენტი აცხადებენ, რომ დიქტატურა და ავტორიტარული რეჟიმი შეიძლება არ იყოს თავსებადი ხანგრძლივი წარმოების ეკონომიკურ ზრდასთან, რაც უფრო წარმატებულია ასეთი სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების კუთხით, მით მეტია ალბათობა, იმის რომ სახელმწიფოს დაემუქრება ლეგიტიმურობის კრიზისი. ეს ხდება ფინანსურად დამოუკიდებელი საშუალო კლასის

და შიდა ეკონომიკის ინტეგრაციის გამო მსოფლიო ეკონომიკაში. შედეგად დემოკრატიულმა იდეოლოგიამ შეიძლება შეაღწიოს საშუალო ფენაში და შეარყიოს რეჟიმის ლეგიტიმაცია. ამრიგად ავტორიტარული ქვეყნები გარდაიქმნება დემოკრატიულ ქვეყნებად.

გლობალური სავაჭრო ღიაობა და დემოკრატია - ამ ცნებას ახასიათებს "gravity model"¹. ფრანკელისა და რომერის გამოკვლევამ აჩვენა, რომ სავაჭრო ღიაობა პირდაპირი კავშირით არის დაკავშირებული დემოკრატიის განვითარებასთან. მათი კვლევა გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს ინსტიტუციური სტაბილურობის შექმნას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური რეფორმებისთვის და დემოკრატიული სისტემის განვითარებისთვის.

ამერიკელი მეცნიერი ა.ფენბერგი აცხადებს, რომ გლობალიზაციის გავლენა დემოკრატიაზე არ არის სტაბილური და ერთმნიშვნელოვანი, და ხაზი გაუსვა იმას, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია ხშირად არ იწვევს პოლიტიკურ რეფორმებს. გლობალიზაცია შეიძლება გამოწვევად იქცეს დემოკრატიული პროცესებისთვის, რადგან ძლიერდება ფულადი და ფინანსური ძალების გავლენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. მისი აზრით, სავაჭრო ღიაობამ, რომელიც დაფუძნებულია გლობალური კომპანიისა და მულტინაციონალური კორპორაციების ინტერესებზე, შეიძლება შემოიტანოს ეკონომიკური პრობლემები, რომელიც ზღუდავს დემოკრატიულ თავისუფლებებს.

ჟ. სტიგლიცი უარყოფითად აფასებს გლობალიზაციის გავლენას დემოკრატიის განვითარებაზე. სტიგლიცი, თავის წიგნებში და სტატეებში, ხშირად აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის გავლენა დემოკრატიის განვითარებაზე არ არის ერთმნიშვნელოვანი. მისი აზრით, გლობალიზაცია და სავაჭრო ღიაობა ხშირად გაართულებს სოციალური უთანასწორობის და ეკონომიკური ბარიერების საკითხებს, რაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დემოკრატიული პროცესების სისრულეზე. სტიგლიცი ამბობს, რომ გლობალიზაცია არ განაპირობებს ავტორიტარიზმისგან რეფორმას და ცვლილებებს. უფრო მეტიც, ის აღნიშნავს, რომ, როცა გლობალიზაცია გაძლიერდება, შესაძლოა

¹ მოდელი, რომელიც აღწერს სავაჭრო ნაკადებს ქვეყნებს შორის მათი ეკონომიკური ზომის და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

ქვეყნები მოექცნენ "მხოლოდ ეკონომიკური და ფინანსური მიზნების" დაცვაში, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეიქმნას პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია.

ეკონომიკა და დემოკრატია და ბაზრებს შორის დამაბული სიტუაციაა. ეკონომიკაში ადამიანები თავიანთი ფულით ხმას იღებენ ბაზარზე. ძირითადი პრინციპი არის "ერთი რუპია - ერთი ხმა". თუმცა განხვავდება პოლიტიკური დემოკრატია. დემოკრატიის დროს ზრდასრულს აქვს ერთი ხმა. მდიდრები დომინირებენ საბაზრო ეკონომიკაში მსყიდველობითი უნარის თვალსაზრისით, მაგრამ ღარიბეს აქვთ ძლიერი ხმა პოლიტიკურ დემოკრატიაში ხმების თვალსაზრისით.

არსებობს უმრავლესობის მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემები, რამაც შესაძლოა ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყნას უმცირესობების გარიყვისკენ უბიძგოს. პრინციპი ერთი ადამიანი ერთი ხმა რეალობაში არ აქცევს ყველა ადამიანს თანასწორად პოლიტიკურ დემოკრატიაში, რადგან რეალურ სამყაროში სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა აუცილებლად აისახება პოლიტიკურ პროცესზე. თეორიულად, დემოკრატია უზრუნველყოფს ყოველი მოქალაქის პოლიტიკურ თავისუფლებას სამოქალაქო უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლებების სახით. პრაქტიკაში ზოგისთვის არის თავსულება, ზოგისთვის კი - არა და ზოგისთვის უფრო მეტი თავისუფლებაა, ვიდრე სხვისთვის. გარიყულობის სოციალური გამოვლინებები შეიძლება იყოს ძლიერი. ეკონომიკური გარიყულობა გახს უსხვამს სოციალურ გარიყულობას, ხოლო სოციალური გარიყულობა ხაზს უსვამს პოლიტიკურ გარიყულობას. შესაბამისად, კულტურული გარიყულობა, როგორცაა იმიგრანტი ჯგუფები, უმცირესობების თემები ან ეთნიკური ჯგუფები ურთიერთქმედებს ბაზრიდან ეკონომიკურ გარიყულობასთან და დემოკრატიიდან პოლიტიკურ გარიყვასთან.

ლიბერალური პარადოქსი გაცილებით უფრო ღრმაა. ერთი მხრივ, ბაზრები გამორიცხავს ადამიანებს უფლებების, აქტივების და შესაძლებლობების გარეშე. მეორე მხრივ, დემოკრატია მოიცავს ხალხს ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლებით. ეს არის დემოკრატიის საფუძველი. მიუხედავად ამისა, რეალობაში პოლიტიკური პროცესები ცდილობს გამორიცხოს ის ვისაც ხმა არ აქვს.

ეს ურთიერთბები დემოკრატია და ბაზრებს შორის უფრო რთული ხდება, როდესაც გლობალიზებული ეკონომიკა უპირისპირდება ეროვნულ პოლიტიკას. თუმცა არსებითი დამაბულობა და პარადოქსი მსგავსი რჩება.

თავი III: დემოკრატია და ტრანსნაციონალური კორპორაციები

ტრანსნაციონალური კორპორაციები(TNC) არის დიდი საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ წარმოებისა და ბიზნეს საქმიანობას ბევრ ქვეყანაში, მართავენ და ხელმძღვანელობენ ერთიან კომპანიებს და ცვლიან ბაზრებზე თავიანთ პროდუქციას ან სერვისებს გლობალურად. ასეთი კომპანიები ახორციელებენ აქტივობებს განსხვავებულ ქვეყნებში, რის შედეგადაც მათ შეუძლიათ შექმნან საერთაშორისო კოორდინაცია და რესურსების განაწილება. მისი წილი მსოფლიოს ერთობლივი პროდუქტში 30% -ს შეადგენს.

ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორც წესი, ჰგვანან მრავალეროვნულ კომპანიებს (MNCs), მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ მათი საქმიანობა უფრო მეტად არის გაერთიანებული და გააქტიურებული სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ტრანსნაციონალური კორპორაციები აქტიურად ოპერირებენ სხვადასხვა ქვეყნებში. მათ შეიძლება მოახდინონ ინვესტიციები, წარმოება და გაყიდვები სხვადასხვა ბაზრებზე, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ფართო გლობალურ ბაზარზე. ასეთი კომპანიები წარმოების პროცედურებს აერთიანებენ სხვადასხვა ქვეყნებში, რაც ნიშნავს, რომ სხვადასხვა ეტაპე შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ლოკაციაზე, სადაც ტექნოლოგიური და სამუშაო ძალის ღირებულება უფრო დაბალია. კომპანიები იღებენ სხვადასხვა რესურსებს (მაგ. შრომის, ბუნებრივი რესურსები) იმ ქვეყნებიდან, სადაც ისინი ხელმისაწვდომია უფრო იაფად ან მეტი ხარისხით, და ამ პროცესის შედეგად საქონლის ღირებულება ნაკლებია. ტრანსნაციონალური კორპორაციებია მაგალითად Apple, Coca-Cola, Microsoft და ა.შ.

ტრანსნაციონალური კორპორაციებს დიდი გავლენა აქვს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე. მაგალითად აქვს გავლენა ეკონომიკაზე. TNC-ები ხელს უწყობენ ბიზნესის განვითარებას და ეკონომიკის ზრდას, მაგრამ ამასთან, გავლენას ახდენს ისეთ სფეროებში, როგორიცაა შრომითი ბაზარი, ტექნოლოგიური ინოვაციები და გლობალური ვაჭრობა. ტრანსნაციონალური კორპორაციები ხშირად ახდენენ გავლენას

პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე და სახელმწიფო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მათ აქვთ ძლიერი ეკონომიკური პოზიცია. ტრანსნაციონალური კორპორაციები გავლენას ახდენენ კულტურულ ქცევებზე, რადგან ისინი იძულებულნი არიან ადგილობრივი და გლობალური მოთხოვნებისა და ტენდენციების გათვალისწინებით შიდა და გარე პროდუქტები და მომსახურება.

ზოგი ტრანსნაციონალური კომპანია იმდენად დიდია, რომ შეიძლება ცალკეული ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსაც კი აღემატებოდეს. ისინი ძირითად შემთხვევაში იყენებენ მხოლოდ ერთი ქვეყნის აქციონერულ კაპიტალს.

